

პროდუქცია

მემბრანული მიმართულებით განხორციელდა შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ ექსპერიმენტალური სამუშაოები:

- სისტემებში იონმიმოცვლითი მემბრანებით შესწავლილია ნივთიერებების არასტაციონალური ელექტრომასაგადატანა და იონების გადატანის რიცხვი;
- შემუშავებულია და დანერგილია ელექტრომემბრანული სისტემების ფუნქციონალური მაჩვენებლების განსაზღვრის ახალი მეთოდები;
- შემუშავებულია ხსნარის პირდაპირი დინების რეჟიმით მომუშავე რევერსიული ელექტროდიალიზური დანადგარის ავტომატური მართვის სქემა;
- შემუშავებულია და გამოცდილია ელექტროდიალიზატორის ახალი ჰიდრავლიკური სქემა ღრმად გაუმარილოებული წყლის მისაღებად;
- შესწავლილია და დადგენილია მემბრანების რეგენერაციის შესაძლებლობა ელექტროდიალიზური დანადგარის დაშლისა და გადაწყობის გარეშე;
- შესწავლილია მანგანუმ-რკინაშემცველი ჩამდინარე წყლების ელექტროდიალიზით დაყოფის შესაძლებლობა, დადგენილია მანგანუმისა და რკინის იონების იონმიმოცვლით მემბრანებში გადატანის კანონზომიერებები;
- შემუშავებულია და გამოცდილია გაღვანური წარმოების (მონიკელების, მოთუთოების, მოქრომვის, სპილენძით დაფარვის საამქროების) ჩამდინარე წყლების გაწმენდის ჩაკეტილი სისტემები, სუფთა წყლისა და ღირებული კომპონენტების ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნების შესაძლებლობით;
- შესწავლილია ჩამდინარე სპილენძშემცველი წყლებიდან სპილენძის იონების ელექტროდიალიზური დაკონცენტრირების პროცესის კანონზომიერებები;
- შემუშავებული, გამოცდილი და დანერგილია ბუნებრივი მარილიანი და მცირედმარილიანი წყლებიდან სასმელი წყლის მიღების ტექნოლოგია;
- საერთაშორისო გრანტის MHTI № G 1302 ფარგლებში, შესწავლილია კომბინირებული მემბრანულ-სორბციული ტექნოლოგიით ზღვის წყლიდან კალიუმის იონების დაკონცენტრირებისა და გამოყოფის შესაძლებლობა;
- საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის № GNSF/ST08/5-439 ფარგლებში ამჟამად ხორციელდება ნაყოფების გადამუშავების უნარჩენო ეკოლოგიურად სუფთა კომპლექსური ტექნოლოგიის გამოცდა და პროცესის კანონზომიერებების შესწავლა;
- შესწავლილია ციტრუსოვანთა წველების წარმოების ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის ინტენსიფიკაციის შესაძლებლობები;
- შემუშავებულია და გამოცდილია ციტრუსოვანთა ნაყოფებიდან კანის მოსაცილებელი დანადგარი, ნარჩენებიდან ეთერზეთების მაქსიმალური გამოყოფის მიზნით;
- დამუშავებულია ციტრუსოვანი ნაყოფების, ვაშლისა და ყურძნის წველების კონცენტრატების მიღების ტექნოლოგია და პროცესის კანონზომიერებები;
- შემუშავებულია ციტრუსოვანთა წველების წარმოების ნარჩენებიდან პექტინური ნივთიერებების მიღების კომპლექსური ტექნოლოგია, მიღებულია პექტინური ნივთიერებების ნიმუშები, შესწავლილია მათი ფიზიკო-ქიმიური თვისებები ფუნქციონალური დანიშნულების საკვები დანამატების შექმნის მიზნით;
- შემუშავებულია ტექნოლოგიური სქემები, პროცესები და აპარატურა და მათ საფუძველზე ინსტიტუტში დამზადებული ელექტროდიალიზური დანადგარები დანერგილია სააკადემო – სამთავრო დაცვის მოსამზადებელ ცენტრში და ბათუმის სხვადასხვა დაწესებულებებში: სამშობიარო სახლში; ღვინის ქარხანაში; ბავშვთა სახლში; რესპუბლიკურ საავადმყოფოში და ფარმაცევტულ ქარხანაში .

- სინთეზირებულია უკუოსმოსური და ულტრაფილტრაციულიმემბრანები, რომლების გამოირჩევიან მაღალი, თერმო- და ქიმიური მდგრადობით, სელექტიურობით და წარმადობით;
- დამუშავებულია ციტრუსოვანი ხილის და ყურძნის წვენებიდან მაღალი შემცველობის კონცენტრატების მიღების კომპლექსური მეთოდით;
- მინერალური წყლებიდან მიღებულია მშრალი ფხვნილები კომპლექსური მემბრანული მეთოდით;
- დამზადებულია ინდივიდუალური (საოჯახო) მოხმარების სასმელი წყლის გასაფილტრი აპარატები, ასევე დიდი წარმადობის კოლექტიური მოხმარების გასაფილტრი აპარატების რომელთა გამოყენება შესაძლებელია ქალაქის პარკებში ხალხის თავშეყრის ადგილებში, სკოლებში ბაღებსა და ა.შ. ბიოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის წყლის მისაღებად;

აგრარული მართულებით დამზადებულია შემდეგი სახის პროდუქცია:

მანდარინის ნატურალური წვენი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი

პროდუქციის დახასიათება: გაუმჭვირვალე, ღია ნარინჯისფერი, რბილობის შემცველი წვენი, მანდარინისათვის დამახასიათებელი ოდნავ მომწარო გემოთი. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 10%. მდიდარია კაროტინებით და ვიტამინებით. შეიცავს მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს. აქვს პროფილაქტიკური თვისებები.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი.

მანდარინის წვენი შაქრით

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი, შაქარი

პროდუქციის დახასიათება: მანდარინის წვენი შაქრით წარმოადგენს გაუმჭვირვალე, ღია ნარინჯისფერ სითხეს რბილობით, სასიამოვნო გემოთი, მანდარინისათვის დამახასიათებელი სიმწარით. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 14%. მდიდარია კაროტინებით და ვიტამინებით. შეიცავს C, A, P ვიტამინებს, მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს. აქვს პროფილაქტიკური თვისებები.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი.

ციტრუსის ყვავილის ექსტრაქტი

გამოყენებული ნედლეული: ციტრუსის ყვავილი, შაქარი

პროდუქციის დახასიათება: ნახევრად გავჭვირვალე, ღია ყვითელი ფერის სითხე, მკაფიოდ გამოხატული თავლის გემოთი. მშრალი ნივთიერება – 30%.

გამოყენების სფერო: საკონსერვო მრეწველობა, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება.

მანდარინის კონცენტრირებული წვენი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი

პროდუქციის დახასიათება: ერთგვაროვანი მუქი ნარინჯისფერი მასა 18% რბილობის და 45% მშრალი ნივთიერების შემცველობით. მზადდება მანდარინის ახალი ნაყოფებიდან მიღებული ნატურალური წვენის 4,5-ჯერ შესქელებით ვაკუუმის პირობებში, რაც უნარჩუნებს წვენს ბიოაქტიური ნივთიერებების კომპლექსს. მდიდარია P, C ვიტამინებით, კაროტინებით მინერალური მარილებით. მის ბაზაზე მზადდება უალკოჰოლო სასმელები “მანდარინის”, “ოქროსფერი”, “გამახალისებელი”. ყველა ჩამოთვლილი სასმელისათვის შემუშავებულია ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია.

გამოყენების სფერო: უალკოჰოლო სასმელების წარმოება

ხურმის კონცენტრატი

გამოყენებული ნედლეული: ხურმა

პროდუქციის დახასიათება: ხურმის კონცენტრატი წარმოადგენს ნახევარფაბრიკატს, სხვადასხვა სახის კვების პროდუქტების დასამზადებლად. არის მუქი ყავისფერი შეფერილობის თხევადი მასა, მოტკბო-მომწვლარტო, ხურმისათვის დამახასიათებელი გემოთი და არომატით. შეიცავს პოლიფენოლურ ნაერთებს, შაქრებს – გლუკოზისა და ფრუქტოზის სახით. რძესთან და სხვადასხვა დანამატებთან ურთიერთქმედებაში იძენს ორიგინალურ გემოს.

გამოყენების სფერო: საკონსერვო მრეწველობა, ლიქიორ-არაყის წარმოება.

რძე-ხურმის კონცენტრატი

გამოყენებული ნედლეული: შედედებული რძე, ხურმის კონცენტრატი, მინერალები.

პროდუქციის დახასიათება: ღია ყავისფერი მასა კაკაოსებრი გემოთი და ხურმის არომატით. მშრალი ნივთიერების მასური წილი 45%.

გამოყენების სფერო: ბავშვთა კვება

მსხლის კონცენტრირებული წვენი

გამოყენებული ნედლეული: მსხალი

პროდუქციის დახასიათება: მსხლის კონცენტრირებული წვენი წარმოადგენს სქელ გაუმჟვირვალე ყავისფერ სითხეს, მსხლისათვის დამახასიათებელი ნატურალური გემოთი და სუნით. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 50%, ფრუქტოზა – 32 %, მჟავიანობა- 1,5%.

გამოყენების სფერო: ნახევარფაბრიკატი, საკონსერვო მრეწველობა, უალკოჰოლო სასმელების წარმოება, უშუალოდ დასალევად გამოვნიებით განზავების შემდეგ.

კონცენტრატი სასმელისათვის “საშემოდგომო”

გამოყენებული ნედლეული: სუბტროპიკული ხურმის კონცენტრატი, შაქარი, რძის ფხვნილი, ვანილი.

პროდუქციის დახასიათება: კონცენტრატი სასმელისათვის “საშემოდგომო” წარმოადგენს თხევად, ბლანტ, განშრევად, ყავისფერ მასას. ტკბილი რძიანი კაკაოს გემოთი და ვანილის არომატით. მშრალი ნივთიერების მასური წილი 67%. მდიდარია პოლიფენოლური ნივთიერებებით, შეიცავს ვიტამინ P-ს, ვიტამინ C-ს-0,21%-ს. ცხელი ანადუღარი წყლით 3 ან 3,5-ჯერ განზავების შემდეგ მიიღება სასიამოვნო სასმელი რძიანი კაკაოს გემოთი.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

მანდარინის კონცენტრირებული კომპოტი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი, შაქარი.

პროდუქციის დახასიათება: განივად რგოლების სახით დაჭრილი მანდარინი დაფარული 45% კონცენტრაციის შაქრის სიროფით, კომპოტს აქვს მომჟაო-ტკბილი გემო და სასიამოვნო გარეგანი შეხედულება. შეიცავს ვიტამინ C-ს 10-15 მგ%, ვიტამინ P-ს 80-100 მგ%.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

მსხლის კომპოტი კონცენტრირებულ წვენში

გამოყენებული ნედლეული: მსხალი, მსხლის კონცენტრირებული წვენი

პროდუქციის დახასიათება: მსხლის თანაბარი ზომის კანგაცლილი ან კანიანი ნაჭრები მსხლის კონცენტრირებულ წვენში. მშრალი ნივთიერების მასური წილი – 16%, მჟავიანობა – 07-1,2%.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

კომპოტი ასორტი

გამოყენებული ნედლეული: მსხალი, ფეიჭოა, შაქარი.

პროდუქციის დახასიათება: კომპოტი “ასორტი” წარმოადგენს კანგაცლილი ან კანგაუცლებელი მსხლის ნახევრად ან მეოთხედად დაჭრილ ნაჭრებს და ფეიჭოას მთლიანი ნაყოფების ნარევეს შაქრის სიროფში. ფეიჭოას ნაყოფი ამდიდრებს კომპოტს ვიტამინების კომპლექსით და ბიოქატიური ნივთიერებებით. კომპოტს აქვს მსხლის და ფეიჭოასთვის დამახასიათებელი სასიამოვნო არომატი.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

თხევადი ჩაი

გამოყენებული ნედლეული: ჩაის ფოთოლი

პროდუქციის დახასიათება: პროდუქტი ხასიათდება ბიოქატიური ნაერთების მაღალი შემცველობით - 100 მლ. თხევადი ჩაი შეიცავს 1500-2000 მგ% კატექინებს, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი ანტიოქსიდანტური თვისებები და P- ვიტამინური აქტივობა.

გამოყენების სფერო: უალკოჰოლო სასმელების წარმოება

მანდარინის კონცენტრირებული კომპოტი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი, შაქარი.

პროდუქციის დახასიათება: განივად რგოლების სახით დაჭრილი მანდარინი დაფარული 45% კონცენტრაციის შაქრის სიროფით, კომპოტს აქვს მომჟაო-ტკბილი გემო და სასიამოვნო გარეგანი შეხედულება. შეიცავს ვიტამინ C-ს 10-15მგ%, ვიტამინ P-ს 80-100მგ%.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

მსხლის კომპოტი კონცენტრირებულ წვენიში

გამოყენებული ნედლეული: მსხალი, მსხლის კონცენტრირებული წვენი

პროდუქციის დახასიათება: მსხლის თანაბარი ზომის კანგაცლილი ან კანიანი ნაჭრები მსხლის კონცენტრირებულ წვენიში. მშრალი ნივთიერების მასური წილი – 16%, მჟავიანობა – 07-1,2%

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

მწვანე ჩაის უალკოჰოლო სასმელები

გამოყენებული ნედლეული: მწვანე თხევადი ჩაი, შაქარი, ლიმონმჟავა, ციტრუსოვანთა ნაყენი.

პროდუქციის დახასიათება: მწვანე ჩაის სასმელები მზადდება შემდეგი ასორტიმენტის – “ცივი მწვანე ჩაი”. სასმელი წარმოადგენს მოყვითალო-ლიმონისფერ გამჭვირვალე სითხეს მწვანე ჩაის დამახასიათებელი მომწკლარტო გემოთი და ციტრუსის არომატით. მდიდარია ვიტამინური თვისებების მქონე კატექინებით და აქვს გამაგრილებელი და პროფილაქტიკური თვისებები.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

მანდარინის სასმელი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინის კონცენტრირებული წვენი, შაქარი.

პროდუქციის დახასიათება: უალკოჰოლო არაგამჭვირვალე სითხე მანდარინის სასიამოვნო გემოთი და არომატით. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 12%, მდიდარია კატექინებით, შეიცავს P,C ვიტამინებს, აქვს გამაგრილებელი თვისებები

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

უალკოჰოლო სასმელი “არომატული”

გამოყენებული ნედლეული: ციტრუსის ყვავილის სიროფი

პროდუქციის დახასიათება: ^ გამჭვირვალე ღია ყვითელი ფერის სითხე, თაფლის არომატით და გემოთი.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

საამებელი “ბალზამი“ სუბტროპიკული ხილისაგან

გამოყენებული ნედლეული: სუბტროპიკული კონცენტრატი, შაქარი, რძის ფხვნილი, ეთილის სპირტი.

პროდუქციის დახასიათება: ^ სასმელი “ბალზამი” წარმოადგენს ბლანტ, ერთგვაროვან ღია ყავისფერ თხევად მასას რძიანი კაკაოს და სუსტი ალკოჰოლის გემოთი და ვანილის არომატით. მდიდარია პოლიფენოლური ნაერთებით. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 30%, ეთილის სპირტი – არანაკლებ 10 მოც%.

გამოყენების სფერო: მზა სასმელი

მწვანე უალკოჰოლო სასმელები

გამოყენებული ნედლეული: მწვანე თხევადი ჩაი, შაქარი, ლიმონმჟავა, ციტრუსოვანთა ნაყენი.

პროდუქციის დახასიათება: ^ მწვანე ჩაის სასმელები მზადდება შემდეგი ასორტიმენტის – “ცივი მწვანე ჩაი” – არაგაზირებული და გაზირებული სასმელი – “მწვანე ჩაი”. სასმელი წარმოადგენს მოყვითალო-ლიმონისფერ გამჭვირვალე სითხეს მწვანე ჩაის დამახასიათებელი მომწკლარტო გემოთი და ციტრუსის არომატით. მდიდარია ვიტამინური თვისებების მქონე კატექინებით და აქვს გამაგრილებელი და პროფილაქტიკური თვისებები.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

მანდარინის სასმელი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინის კონცენტრირებული წვენი, შაქარი.

პროდუქციის დახასიათება: ^ უალკოჰოლო არაგამჭვირვალე სითხე მანდარინის სასიამოვნო გემოთი და არომატით. მშრალი ნივთიერების შემცველობა 12%, მდიდარია კაროტინებით, შეიცავს P,C ვიტამინებს, აქვს გამაგრილებელი თვისებები.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

მსხლის სასმელი გაზირებული

გამოყენებული ნედლეული: მსხლის კონცენტრირებული წვენი, ლიმონმჟავა

პროდუქციის დახასიათება: ^ გამჭვირვალე ყავისფერი სითხე მსხლის გემოთი და არომატით. მშრალი ნივთიერების მასური წილი – 10%, მჟავიანობა 0,2%.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

ხურმის სპირტი

გამოყენებული ნედლეული: ხურმა

პროდუქციის დახასიათება: ^ სპირტის შემცველობა 62-70მოც.%, გამოირჩევა ხურმისათვის დამახასიათებელი არომატით, აკმაყოფილებს ეთილის სპირტისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას

გამოყენების სფერო: ლიქიორ-არაყის წარმოება

ციტრუსის ყვავილის ლიქიორი “აჭარის თაიგული”

გამოყენებული ნედლეული: ციტრუსის ყვავილის ექსტრაქტი, ეთილის სპირტი, შაქარი.
პროდუქციის დახასიათება: ^ გამჭვირვალე ყვითელი-ქარვისფერი ელფერით, თაფლის
არომატით და გემოთი. ეთილის სპირტის შემცველობა – 25მოც.%, შაქარი- 35%.
გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

ხურმის ლიქიორი

გამოყენებული ნედლეული: ხურმის კონცენტრატი, ხურმის სპირტი, შაქარი.
პროდუქციის დახასიათება: ^ გამჭვირვალე, ღია ყავისფერი სითხე ხურმისა და ყავის
სასიამოვნო არომატით, მდიდარია მთრიმლავი და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით.
სპირტის შემცველობა – 28 მოც.%, შაქრის – 33%.
გამოყენების სფერო: მზა სასმელი.

მანდარინის ჯემი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი, შაქარი
პროდუქციის დახასიათება: მზა პროდუქტი წარმოადგენს მომჟაო-ტკბილ სქელ მცხებად
მასას, მანდარინისათვის დამახასიათებელი არომატით და ფერით, მსუბუქი
სიმწკლარტით. მშრალი ნივთიერების შემცველობა 62%. შეიცავს პექტინს – 3-4%, ვიტამინ
P-ს 480მგ%, ვიტამინ C-ს – 20-30მგ%. აქვს რადიოპროტექტორული თვისებები,
წარმოადგენს პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტს.
გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი, დიეტური კვება.

მანდარინის მურაბა

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი, შაქარი.
პროდუქციის დახასიათება: მანდარინის მურაბა წარმოადგენს მთელ ან შუაზე გაჭრილ
მანდარინის ნაყოფს მოხარშულს შაქრის სიროფში. პროდუქტი ყვითელი ან ღია ყვითელი
ფერისაა. აქვს მანდარინისათვის დამახასიათებელი ოდნავ მომწარო გემო და ციტრუსის
არომატი. მშრალი ნივთიერების შემცველობა არანაკლებ 68%. შეიცავს მინერალურ
მარილებს, ორგანულ მჟავებს, P და C ვიტამინებს.
გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი.

ჯემები მანდარინის ხილით

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი და ვაშლის, კომშის, ტყემლის პიურე, შაქარი.
პროდუქციის დახასიათება: ჯემები მანდარინი ხილით მზადდება მანდარინის და
ვაშლის, მანდარინის და კომშის, მანდარინის და ტყემლის კუპაჟირებით. წარმოადგენს
სქელ, მცხებად მასას მანდარინის დაქუცმაცებული ნაწილებით, გამოყენებული
ნედლეულის დამახასიათებელი არომატით და ფერით. მშრალი ნივთიერების მასური
წილი – 62%. შეიცავს ვიტამინ P-ს 120 მგ%, პექტინს – 1,5% და სხვა ბიოაქტიურ ნაერთებს.
გამოყენების სფერო: მზა პროდუქტები

კივის ჯემები

გამოყენებული ნედლეული: კივი და ვაშლი, კომში, ლიმონი, შაქარი.
პროდუქციის დახასიათება: კივის ჯემები მზადდება შემდეგი ასორტიმენტის – ჯემი
კივის, კივი – ვაშლით, კივი – კომშით, კივი – ლიმონით და წარმოადგენს ჟელესმაგვარ
მცხებად მასასდაჭრილი ნაყოფის ნაწილებით და კივის წვრილი თესლებით, ტკბილი ან
მომჟაო-ტკბილი კივის და გამოყენებული ხილის დამახასიათებელი გემოთი და
არომატით, მომწვანო-მოყვითალო ან ყავისფერი ელფერით. მშრალი ნივთიერების
შემცველობა – 62%. ჯემები მდიდარია სასარგებლო ნაერთთა ფართო კომპლექსით, P და
C ვიტამინებით. ახასიათებს რადიოპროტექტორული თვისებები.
გამოყენების სფერო: პროფილაქტიკური და დიეტური კვება.

ჯემი ხურმის და ლიმონის

გამოყენებული ნედლეული: ხურმა, ლიმონი, შაქარი.

პროდუქციის დახასიათება: ხურმა-ლიმონის ჯემი წარმოადგენს ჟელესმაგვარ მოყვითალო მოყავისფრო მასას, მომჟაო-მოტკბო ხურმისა და ლიმონისათვის დამახასიათებელი გემოთი და არომატით. მშრალი ნივთიერების მასური წილი – 62%. შეიცავს ბიოაქტიურ ნაერთებს, პექტინს, P და C ვიტამინებს.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქცია.

ციტრუსოვანთა კონფიტიურები

გამოყენებული ნედლეული: გრეიპფრუტი, მანდარინი, შაქარი.

პროდუქციის დახასიათება: ციტრუსოვანთა კონფიტიურები მზადდება შემდეგი დასახელების: გრეიპფრუტის, გრეიპფრუტის ამონაწნეხის, მანდარინის, მანდარინის ამონაწნეხის. მზა პროდუქტი წარმოადგენს სქელ ჟელესმაგვარ მასას, მომჟაო-მოტკბო, ნაყოფისათვის დამახასიათებელი გემოთი და ციტრუსოვანთა გამოკვეთილი არომატით, მშრალი ნივთიერების მასური წილი – 57%. მანდარინის ამონაწნეხის კონფიტიურისათვის – 51%. ბიოაქტიური ნივთიერების შემცველობით და კვებითი ღირებულებით ანალოგიურია მანდარინის ჯემების.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი. დიეტური კვება

მანდარინის და ხილის კონფიტიურები

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი და ვაშლის, კომშის და ტყემლის პიურე.

პროდუქციის დახასიათება: მანდარინის და ხილის კონფიტიურები მზადდება: მანდარინის და ვაშლის, მანდარინის და კომშის, მანდარინის და ტყემლის. წარმოადგენს სქელ ჟელესმაგვარ მასას მომჟაო-მოტკბო გამოყენებული ნედლეულისათვის დამახასიათებელი გემოთი და არომატით. მანდარინთან ხილის პიურეების კუპაჟი პროდუქტს ამდიდრებს ვიტამინების კომპლექსით და მიკროელემენტებით. შეიცავს ვიტამინ P-ს 130მგ%, პექტინს 1-1,5%-ს. მშრალი ნივთიერების მასური წილი – 62%.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

ხურმის ნაჩურთი

გამოყენებული ნედლეული: სუბტროპიკული ხურმის კონცენტრატი, შაქარი, რძის ფხვნილი.

პროდუქციის დახასიათება: ხურმის ნაჩურთი წარმოადგენს ერთგვაროვან, სქელ, ბლანტ ყავისფერი შეფერილობის მასას შოკოლადის გემოთი და ხურმის არომატით. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 80%, ვიტამინ C –ს 0,21%. მდიდარია ფენოლური ნაერთებით. შეიცავს ვიტამინ P-ს, მიკროელემენტებს.

გამოყენების სფერო: საკონდიტრო მრეწველობა

ლიმონი და ფეიჭოა შაქრით

გამოყენებული ნედლეული: ლიმონი, ფეიჭოა, შაქარი

პროდუქციის დახასიათება: დაქუცმაცებული ლიმონის ან ფეიჭოას ჟელესმაგვარი, მცხებადი მასა. მომჟაო-ტკბილი, გამოყენებული ნედლეულის გემოთი და არომატით. მშრალი ნივთიერების მასური წილი – 55%. ლიმონი შაქრით შეიცავს პექტინს –3%, ვიტამინ C-ს-10მგ%, ფეიჭოა შაქრით – პექტინს – 1,5%, შეიცავს იოდს.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი, პროფილაქტიკური და დიეტური კვება.

ლიმონი თაფლით

გამოყენებული ნედლეული: ლიმონი, თაფლი

პროდუქციის დახასიათება: ლიმონი თაფლით წარმოადგენს სქელ, ბლანტ, მცხებად მასას მომჟაო-ტკბილი სასიამოვნო გემოთი ლიმონის არომატით და დამახასიათებელი

თანმხლები მსუბუქი სიმწარით. მშრალი ნივთიერების მასური წილი – 45%. ნახშირწყლები შემცველობა C-ს-10მგ%, ვიტამინი P – 20მგ%. მნიშვნელოვანია ბიოაქტიურ ნაერთთა რაოდენობა, ვიტამინების კომპლექსის და მიკროელემენტების შემცველობა პროდუქტს ანიჭებს დიეტურ და სამკურნალო თვისებებს.
გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი, პროფილაქტიკური და დიეტური კვება.

ცუკატები ციტრუსოვანთა კანიდან

გამოყენებული ნედლეული: გრეიპფრუტი, ლიმონი, მანდარინი, შაქარი.

.პროდუქციის დახასიათება: ციტრუსოვანთა კანის თანაბარზომიერინაჭრები – კვადრატის,სამკუთხედის ან სხვა ფორმის, გაჟღენთილი შაქრის სიროფით, შემშრალი, შაქარმოყრილი ან მის გარეშე. ტკბილი სუსტი სიმწარით, ნაყოფებისათვის დამახასიათებელი ელფერით. მშრალი ნივთიერების შემცველობაგრეიპფრუტის ცუკატში – 83%, ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის – 80%. ციტრუსოვანთა კანის ცუკატები შეიცავენ ვიტამინური აქტივობის მქონე პექტინოვან ნივთიერებებს.

გამოყენების სფერო: ნახევარფაბრიკატი, საკონდიტრო და პურ-ფუნთუშეულის მრეწველობა, მზა პროდუქტი.

ცუკატები – კივის, გოგრის, ყაბაყის, ჩაიოტის.

გამოყენებული ნედლეული: კივი, გოგრა, ყაბაყი, ჩაიოტა, შაქარი.

პროდუქციის დახასიათება: რგოლებად ან ლებნებად დაჭრილი კანდირებული ნაყოფები შაქრის კონცენტრირებულ სიროფში და შემშრალი 80% მშრალი ნივთიერების შემცველობამდე. შაქარმოყრილი ან მის გარეშე, ნედლეულისათვის დამახასიათებელი გემოთი და ბუნებრივი შეფერილობით. მკვრივი, მაგრამ არა ხმელი კონსისტენციის.

გამოყენების სფერო: საკონდიტრო და პურ-ფუნთუშეული მრეწველობა, მზა ნაწარმი

ციტრუსის ვაჟინი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, შაქარი

პროდუქციის დახასიათება: გამჭვირვალე სითხე ნალექის გარეშე, მომჟაო-მოტკბო გამოყენებული ნედლეულის გემოთი და არომატით. მშრალი ნივთიერების მასური წილი – 68%. შენახვისას ინარჩუნებს ორგანოლეპტიკურ, ქიმიურ და ფიზიკურ თვისებებს.

გამოყენების სფერო: უალკოჰოლო სასმელების წარმოება

ქაცვის ვაჟინი

გამოყენებული ნედლეული: ქაცვი, შაქარი

პროდუქციის დახასიათება: გაუმჭვირვალე ბლანტი მასა მუქი ნარინჯისფერი შეფერილობით ქაცვისათვის დამახასიათებელი გემოთი და არომატით. მშრალი ნივთიერების შემცველობა 65%.

გამოყენების სფერო: უალკოჰოლო სასმელების წარმოება

თაფლი ციტრუსოვანთა ყვავილის

გამოყენებული ნედლეული: ციტრუსის ყვავილი, შაქარი, ლიმონმჟავა

.პროდუქციის დახასიათება: ციტრუსის ყვავილის თაფლი წარმოადგენსჰომოგენურ, ერთფაზოვან, ბლანტ მასას ღია ქარვისფერიდან მუქ ქარვისფერამდე, ფუტკრის თაფლისათვის დამახასიათებელი სასიამოვნო გემოთი, ციტრუსის ყვავილის არომატით, მშრალი ნივთიერების შემცველობა – 77%, ინვერსიული შაქრები – 35%, ტიტრული მჟავიანობა – 0,3%.

გამოყენების სფერო: საკონდიტრო მრეწველობა, მზა პროდუქტი

ტხილის გული თაფლით

გამოყენებული ნედლეული: თხილი, თაფლი.

პროდუქციის დახასიათება: დაღერდილი თხილის გული თანაბრად განაწილებული თაფლში, სქელი მასა სასიამოვნო თხილის და თაფლის გემოთი და არომატით. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 80%, ნახშირწყლები- 50%, ცხიმები – 20%.
გამოყენების სფერო: საკონდიტრო მრეწველობა.

ხურმის თაფლი

გამოყენებული ნედლეული: ხურმა, შაქარი

პროდუქციის დახასიათება: ხურმის თაფლი წარმოადგენს მუქ ყავისფერ ბლანტ მასას სასიამოვნო, მომწკარტო გემოთი, მშრალი ნივთიერების შემცველობა 80%. ნახშირწყლები –73%, ფრუქტოზა 43%, გლუკოზა –24%, საერთო პექტინი – 1%
გამოყენების სფერო: საკონდიტრო მრეწველობა, მზა პროდუქტი

ხურმის ქიშიში

გამოყენებული ნედლეული: ხურმა, შაქარი

პროდუქციის დახასიათება: ხურმის ქიშიში წარმოადგენს 1-1,5სმ ზომის ნაჭრებად დაჭრილ კონდირებული ხურმის შემშრალ ნაყოფს. მკვრივი, მაგრამ არა ხმელი კონსისტენციის. მშრალი ნივთიერების შემცველობა 80%. საერთო შაქრები – 75%, პექტინი – 0,575%, პროდუქტს გააჩნია რადიოპროტექტორული თვისებები.
გამოყენების სფერო: საკონდიტრო მრეწველობა, მზა პროდუქტი

მანდარინის ნექტარი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი, შაქარი.

პროდუქციის დახასიათება: მანდარინის ნექტარი წარმოადგენს თხევად ხილს შაქრით – პასტისმაგვარი, არაგანშრევადი, ერთგვაროვანი მასა მომჟაო-ტკბილი მანდარინის სასიამოვნო გემოთი, არომატით და ფერით. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 40%, ვიტამინ P-189 მგ%, ვიტამინი C– 20მგ%.
გამოყენების სფერო: უალკოჰოლო სასმელების წარმოება

მანდარინისა და ქაჯვის ნექტარი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი, ქაჯვი, შაქარი.

პროდუქციის დახასიათება: ერთგვაროვანი ნარინჯისფერი მასა მშრალი ნივთიერების შემცველობა– 40%-ი, მჟავიანობა – 1%, ვიტამინები A,C,E – 200 მგ% (დღიური დოზა).
გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება

მოცვის ნექტარი

გამოყენებული ნედლეული: მოცვი, შაქარი

პროდუქციის დახასიათება: წარმოადგენს ხილის თხევად, ჰომოგენიზირებულ მასას შაქრით. მშრალი ნივთიერების შემცველობით –45%, შეიცავს ვიტამინებს B1,B2, P, PP, C. მიკროელემენტებს: Na, K, Ca, Mg, P, Fe .
გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი, უალკოჰოლო სასმელების წარმოება

მაყვლის ნექტარი

გამოყენებული ნედლეული: მაყვალი, შაქარი

პროდუქციის დახასიათება: წარმოადგენს ხილის თხევად, ჰომოგენიზირებულ მასას შაქრით. მშრალი ნივთიერების მასური წილი 45%. შეიცავს ვიტამინებს B1,B2, P, PP, C კაროტინს, ცილებს, მონოშაქრებს, მიკროელემენტებს Na, K, Ca, Mg, P, Fe. ორგანულ მჟავებს – 0,6-0,9%.
გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი, სასმელების დამზადება

კაკლის პასტა

გამოყენებული ნედლეული: კაკლის მურაბა

პროდუქციის დახასიათება: შაქარში მოხარშული ნიგვზის ნაყოფების ერთგვაროვანი გახეხილი მასა, სანელებლების არომატით, ყავისფერი. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 65%, შაქრების 59%. ცილა – 0,9%. Fe- 138მგ%, Ca – 7,4%, - 33,8მგ%, - 11,9მგ%.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი.

მანდარინის კრემი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი, რძის ფხვნილი

პროდუქციის დახასიათება: ერთგვაროვანი გახეხილი მასა მოტკბო-მომჟაო მანდარინისათვის დამახასიათებელი გემოთი და არომატით. მშრალი ნივთიერების მასური წილი არანაკლებ –72%.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი.

ხურმის ფქვილი

გამოყენებული ნედლეული: ხურმა

პროდუქციის დახასიათება: წარმოადგენს ღია ყავისფერიდან მუქ ყავისფრამდე ფხვნილს ხურმის გემოთი და არომატით. მდიდარია ბიოაქტიური ნივთიერებებით. შეიცავს საერთო შაქრებს – 71%, ცილას 5%, რკინას – 8%, მთრიმლავ ნივთიერებებს – 2,6%, პექტინს – 3%. ფქვილის ტენიანობა – 11%.

გამოყენების სფერო: ნახევარფაბრიკატი, დიეტურ-პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტი, ბავშვთა კვება.

გასანთლული მანდარინის ნაყოფი

გამოყენებული ნედლეული: მანდარინი, სანთელი

პროდუქციის დახასიათება: გასანთლული მანდარინის ნაყოფები წარმოადგენს გარეცხილ, დეზინფიცირებულ, სანთლის თხელი, გამჭვირვალე, პრიალა აპკით დაფარულ ნაყოფს, რომელსაც შენარჩუნებული აქვს მისთვის დამახასიათებელი გემო, სუნი და შეფერილობა. შენახვა ამ ტექნოლოგიით ამცირებს ლპობითა და გაფუჭებით გამოწვეულ დანაკარგებს მანდარინის შენახვისა და ტრანსპორტირების დროს 50%-ით.

გამოყენების სფერო: მანდარინის სასაქონლო დამუშავება სარეალიზაციოდ და სამრეწველო გადასამუშავებლად.

სტევიას ნერგი

ნერგის დახასიათება: სტევიას სტანდარტულ ნერგს აქვს კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა და 8-10 ფოთოლი. ნერგი შეიძლება ვაწარმოოთ მთელი წლის განმავლობაში. ღია გრუნტში ნერგის გადარგვა საქართველოს პირობებში სასურველია მაისის შუა რიცხვებში. რიგთაშორის 60სმ. მცენარეებს შორის 25-30სმ.

ვაზის ნამყენი ნერგი

გამოყენებული მასალები: ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირე, (ბერლანდიერი X რიპარია) 5ზზ; ჩხავერის, ალადასტურის, ოჯალეშისა და სხვა უნიკალური ვაზის ჯიშების აპრობირებული სადედეებიდან აღებული სანამყენე კვირტები, პარაფინი.

ტრქნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები: ნამყენი ნერგი მიიღება გაუმჯობესებული ტექნოლოგიის გზით. ამ მიზნით ნამყენები სათბურში გატარების შემდეგ თავსდება ტორფის, გადამწვარი ნაკელისა და ყამირი მიწის (2:1:1) ნაზავით შევსებული პოლიეთილენის პარკებით სპეციალურად მოწყობილ ორანჟერეაში, ტენის, ტემპერატურისა და ჰაერაციის სათანადო რეჟიმის დაცვით 40-45 დღის განმავლობაში. ეს დრო საკმარისია სანერგეში გაუტარებლად სტანდარტული (4-5 ფოთლიანი) ნამყენი ნერგების მისაღებად და მუდმივ ადგილზე გადასარგავად.

გამოყენების სფერო: სოფლის მეურნეობა, ვაზის გაშენებით დაინტერესებული ფერმერული მეურნეობები.

აჯიკა

გამოყენებული ნედლეული: ცხარე წიწაკა, ტკბილი წიწაკა, მარილი, ნიორი, სანელებლები.

პროდუქციის დახასიათება: ერთგვაროვნად დაქუცმაცებული წითელი ფერის სელი მასა წიწაკის სიმწართა და სანელებლების არომატით

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი

ტყემლის საწებელა

გამოყენებული ნედლეული: ტყემლის ნაყოფი, ნიორი, ქინძი (ხმელი), მარილი, წიწაკა, სანელებლები.

პროდუქციის დახასიათება: ერთგვაროვანი მასა ტყემლის გემოთი და სანელებლების არომატით.

გამოყენების სფერო: მზა პროდუქტი